



USAID
ამერიკელი ხალხისგან



საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

თავისუფალი, სამართლიანი და
თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური
ციკლი 2019-2022 წლებში

საინფორმაციო ბიულეტენი №24
სექტემბერი, 2021

თბილისი, 2021

ხელმძღვანელი:

ვახუშტი მენაბდე

ავტორები:

ნანუკა ყრუაშვილი

ნიკა ოდიკაძე (VI-VII თავები)

თათია მიქელაძე (VIII თავი)

კოკა კილურაძე (IX თავი)

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია). ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.



USAID
ამერიკელი ხალხისგან

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) 2019 წლის აგვისტოდან მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო პროექტის - „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში“ იმპლემენტაცია. პროექტის ერთ-ერთი მიზანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა მონიტორინგისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების გზით. ამის მისაღწევად ორგანიზაცია დააკვირდება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც გააცნობს საზოგადოებას და წარუდგენს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს. ამჟამად წარმოგიდგენთ №24 ბიულეტენს, სადაც აღწერილია სექტემბერში განვითარებული ის მოვლენები, რომლებმაც გავლენა მოახდინა პოლიტიკურ გარემოზე.

I. „ქართული ოცნების“ უარი ევროკავშირის მაკროფინანსურ დახმარებაზე

„ქართული ოცნების“ მიერ ევროკავშირის მაკროფინანსურ დახმარებაზე უარის თქმა კრიტიკულად შეაფასეს საქართველოს საერთაშორისო პარტნიორებმა. საქართველოში აშშ-ის ელჩმა კელი დეგნანმა აღნიშნა, რომ გასაკვირი იყო მმართველი პარტიის გადაწყვეტილება ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალური და ეკონომიკური ფონიდან გამომდინარე.¹ მისი თქმით, ამერიკელი კანონმდებლები მხედველობაში მიიღებდნენ „ქართული ოცნების“ განცხადებას, რომ მათ არ სჭირდებათ 75 მილიონი ევროს მიღება.²

კრიტიკული განცხადებები გააკეთეს ევროპარლამენტარებმაც.³ პასუხად, ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ, თუ მათ სურდათ სიმართლის დადგენა, ვითარება რეალურად უნდა გაერკვიათ და თავი შეეკავებინათ ზედაპირული განცხადებებისგან.⁴ პრემიერ-მინისტრმა იქვე მიუთითა, რომ ევროპარლამენტარი მისი უფროსი არ იყო.⁵ ღარიბაშვილის განცხადებას ევროპარლამენტარმა ვიოლა ფონ კრამონმა უპასუხა ფრაზით „ძალიან მაცდური კარიერული პერსპექტივა“.⁶

ძირითადად ოპოზიციურმა პოლიტიკურმა პარტიებმა ევროკავშირისა და ნატოს ლიდერებს ერთიანი წერილით მიმართეს.⁷ განცხადებაში მათ „ქართული ოცნების“ ევროპისკენ მისწრაფებას „ფასადი“ უწოდეს, რომლის მიზანიც ქართველი ხალხის მოტყუება იყო.⁸ წერილში ნათქვამია, რომ მმართველმა პარტიამ 19 აპრილის შეთანხმების დატოვებით და დახმარებაზე უარის თქმით

¹ „კელი დეგნანი ევროკავშირის სესხზე უარისა და ენმ-ის მიერ შეთანხმებაზე ხელმოწერის შესახებ“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 3 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/438582>, განახლებულია: 19.10.2021.

² იქვე.

³ ნანუკა ყრუაშვილი, საინფორმაციო ბიულეტენი N23, აგვისტო, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, გვ. 4-5, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/files/2020/23_geo.pdf, განახლებულია: 19.10.2021.

⁴ „ირაკლი ღარიბაშვილი: „ევროპარლამენტარი არ არის ჩემი უფროსი“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 1-ლი სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/438083>, განახლებულია: 19.10.2021.

⁵ იქვე.

⁶ Viola von Cramon, Twitter post, 1 September 2021, 1:39 PM, ხელმისაწვდომია: <https://twitter.com/ViolavonCramon>, განახლებულია: 19.10.2021.

⁷ წერილს ხელს აწერენ: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „გირჩი - მეტი თავისუფლება“, „ევროპული საქართველო“, „დროა“, „სტრატეგია აღმაშენებელი“, „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“, „ლელო საქართველოსთვის“, „თავისუფალი დემოკრატები“, „ქრისტიან-დემოკრატები“, „ევროპული დემოკრატები“, „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“, მოძრაობა „სახელმწიფო ხალხისთვის“, „სამოქალაქო ალიანსი თავისუფლებისთვის“, „კანონი და სამართალი“ და პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი ტარიელ ნაკაიძე. იხ. „ოპოზიციური პარტიები ევროკავშირს და ნატოს მიმართავენ“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2021 წლის 2 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31440137.html>, განახლებულია: 19.10.2021.

⁸ იქვე.

სახიფათო ტრაექტორიით სვლა განაგრძო.⁹ სწორედ ამიტომ, ამ საფრთხის შესაჩერებლად მნიშვნელოვანი იყო საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან ლეგიტიმური ბერკეტების და გავლენების გამოყენება.¹⁰ მმართველ პარტიას უნდა ჩაეტარებინა ვადამდელი არჩევნები, თუკი ოქტომბრის მუნიციპალურ არჩევნებში 43%-ის ალებას ვერ მოახერხებდა.¹¹ თავის მხრივ კი, ოპოზიციურმა პარტიებმა განაცხადეს, რომ ყველაფერს იღონებდნენ ადგილობრივ არჩევნებში მოქალაქეთა ხმების დასაცავად.¹²

II. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელმოწერა 19 აპრილის შეთანხმებაზე

2 სექტემბერს „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ 19 აპრილის შეთანხმებას ხელი მოაწერა.¹³ პარტიამ გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც „ქართულმა ოცნებამ“ უარი თქვა ევროკავშირის მაკროფინანსურ დახმარებაზე. „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ ნიკა მელიამ აღნიშნა, რომ მმართველმა პარტიამ ამ ნაბიჯით ქვეყნის საგარეო კურსი შეცვალა და უარი თქვა ევროინტეგრაციასზე.¹⁴

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ოპოზიციური პარტიის გადაწყვეტილებას „პოლიტიკური თაღლითობა“ უწოდა. მისი თქმით, „ქართული ოცნება“ შეთანხმებიდან გამომდინარე ვალდებულებებს პირნათლად ასრულებდა, მიუხედავად იმისა, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მას ხელი არ მოაწერა და, ფაქტობრივად, ეს იყო ცალმხრივად შედგენილი დოკუმენტი.¹⁵ მისივე განცხადებით, მმართველი პარტია მზად იყო, მაქსიმალურად გამჭვირვალედ გაეგრძელებინა რეფორმები.¹⁶

ოპოზიციის წარმომადგენლებმა „ნაციონალური მოძრაობის“ ნაბიჯი მეტწილად დადებითად შეაფასეს.¹⁷ პარტიის ყოფილმა წევრმა და დამოუკიდებელმა დეპუტატმა სალომე სამადაშვილმა აღნიშნა, რომ ეს დაგვიანებული, მაგრამ სწორი გადაწყვეტილება იყო.¹⁸ მისი თქმით, „ქართულ ოცნებას“ არ უნდა მისცემოდა საბაზი, შეთანხმების დარღვევისას ოპოზიცია დაედანაშაულებინა.¹⁹ „ლელოს“ ლიდერმა ბადრი ჯაფარიძემ განაცხადა, რომ ეს გადაწყვეტილება ხელს შეუწყობდა შეთანხმების ირგვლივ ოპოზიციის კონსოლიდაციას.²⁰ „ევროპული საქართველოს“ თავმჯდომარის გიგა ბოკერიას შეფასებით, შეცდომა იყო ყურადღების გამახვილება „ნაციონალური მოძრაობის“ გადაწყვეტილებაზე, ვინაიდან არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა მოახლოებულ არჩევნებზე

⁹ იქვე.

¹⁰ იქვე.

¹¹ იქვე.

¹² იქვე.

¹³ „ნაციონალურმა მოძრაობამ 19 აპრილის შეთანხმებას ხელი მოაწერა“, საინფორმაციო პორტალი „Formulanews“, 2021 წლის 2 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://formulanews.ge/News>, განახლებულია: 19.10.2021.

¹⁴ „ნაციონალური მოძრაობა 19 აპრილის შეთანხმებას უერთდება“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 1-ლი სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/438197>, განახლებულია: 19.10.2021.

¹⁵ „ნაციონალური მოძრაობის მიერ 19 აპრილის შეთანხმებაზე ხელმოწერას პოლიტიკოსები აფასებენ“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 3 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/438567>, განახლებულია: 19.10.2021.

¹⁶ „ირაკლი ღარიბაშვილი - ჩვენ ყველა ვალდებულება შევასრულეთ - გარკვეული ვალდებულებები დარჩენილია, თუმცა, ჩვენ მათაც შევასრულებთ“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 2 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.netssnews.ge/ka/article>, განახლებულია: 19.10.2021.

¹⁷ „ნაციონალური მოძრაობის მიერ 19 აპრილის შეთანხმებაზე ხელმოწერას პოლიტიკოსები აფასებენ“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“.

¹⁸ იქვე.

¹⁹ იქვე.

²⁰ „ბადრი ჯაფარიძე - „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან კარგი ნაბიჯია შეთანხმებასთან შეერთება, „ოცნების“ დემარში ვერ აბათილებს შეთანხმებას, მის ძალმოსილებას აღიარებს ევროკავშირი და აშშ“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 2 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article>, განახლებულია: 19.10.2021.

მშვიდობიანი ძალის დემონსტრირებას.²¹

აშშ-ის ელჩმა კელი დეგნანმა და ევროკავშირის ელჩმა კარლ ჰარცელმა „ნაციონალური მოძრაობის“ გადანყვებილებას „სწორი ნაბიჯი“ უწოდეს.²² ამ უკანასკნელის შეფასებით, დემოკრატიული რეფორმების მნიშვნელოვან გზამკვლევეზე ხელის მოწერა ან მასთან დაბრუნება არასდროს არის გვიან.²³

განვითარებულ მოვლენებზე კომენტარი გააკეთა სენატის საგარეო კომიტეტის წამყვანმა რესპუბლიკელმა ნევრმა ჯიმ რიშმა.²⁴ მან პარტიის ნაბიჯს დაგვიანებული უწოდა.²⁵ მისი შეფასებით, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ დოკუმენტის ხელმოწერაზე უარის თქმით ხელი შეუწყო მმართველი პარტიის გასვლას შეთანხმებიდან.²⁶

III. მიხეილ სააკაშვილის მიერ საქართველოში დაბრუნების დაანონსება

27 სექტემბერს საქართველოს მესამე პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 2 ოქტომბრის არჩევნებისთვის საქართველოში ჩამოსვლა დააანონსა, მიუხედავად იმისა, რომ ის რამდენიმე საქმეზე იყო მსჯავრდებული და ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში პატიმრობა ემუქრებოდა.²⁷ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა ყოფილი პრეზიდენტი „დესტაბილიზაციისა“ და „ქაოსის“ შემოტანის მცდელობაში დაადანაშაულა.²⁸ მან ასევე აღნიშნა, რომ სამართალდამცავები მიხეილ სააკაშვილს ქვეყანაში შემოსვლისთანავე დააკავებდნენ.²⁹

ქვეყნის მესამე პრეზიდენტის გადანყვებილება ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა შეაფასეს. პარტია „კანონი და სამართლის“ ნევრმა თამარ ჩარკვიანმა ყოფილი პრეზიდენტის ქვეყანაში მშვიდობიანად დასაბრუნებლად მხარდამჭერთა ჯგუფი შექმნა, რომელშიც, მისი თქმით, 100,000-მდე ადამიანი გაწევრიანდა.³⁰ „ევროპული საქართველოს“ ლიდერის გიგა ბოკერიას თქმით, მნიშვნელობა არ ჰქონდა, ჩამოვიდოდა თუ არა მიხეილ სააკაშვილი საქართველოში, ვინაიდან მთავარი ამოცანა 2 ოქტომბრის არჩევნების გამოყენებით „ივანიშვილის რეჟიმის დამარცხება“ იყო.³¹ პარტია „ხალხისთვის“ ლიდერმა ანა დოლიძემ აღნიშნა, რომ ყოფილი პრეზიდენტის განცხადებები მმართველ პარტიას ეხმარებოდა ხმების მობილიზებაში.³² მისივე განცხადებით,

²¹ „ნაციონალური მოძრაობის მიერ 19 აპრილის შეთანხმებაზე ხელმოწერას პოლიტიკოსები აფასებენ“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“.

²² „კელი დეგნანი ევროკავშირის სესხზე უარისა და ენმ-ის მიერ შეთანხმებაზე ხელმოწერის შესახებ“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 3 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/438582>, განახლებულია: 19.10.2021; „კარლ ჰარცელი - დღეს, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ხელი მოაწერა შეთანხმებას, პარლამენტის 150 წევრიდან 147-მა მხარი დაუჭირა მას - ხელმოწერა არასდროს არის გვიან და, შესაძლოა, არც ამ გზამკვლევეთან დაბრუნებაა გვიან“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 2 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article>, განახლებულია: 19.10.2021.

²³ იქვე.

²⁴ „ჯიმ რიში - კარგია, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ საბოლოოდ დაინახა 19 აპრილის შეთანხმების სარგებელი, მაგრამ ეს შესტი ძალიან მცირე და დაგვიანებულია“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 2 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article>, განახლებულია: 19.10.2021.

²⁵ იქვე.

²⁶ იქვე.

²⁷ „მიხეილ სააკაშვილმა საქართველოში დასაბრუნებელი ბილეთი გამოაქვეყნა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 28 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/443106>, განახლებულია: 19.10.2021.

²⁸ იქვე.

²⁹ იქვე.

³⁰ „საქართველოში დაბრუნებაზე მიხეილ სააკაშვილის განცხადებას ოპოზიციაში აფასებენ“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 29 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/443393>, განახლებულია: 19.10.2021.

³¹ „გიგა ბოკერია - სააკაშვილის ჩამოსვლა-არჩამოსვლა არ ცვლის საზოგადოების ამოცანას, რომ ივანიშვილის რეჟიმი დამარცხდეს და ისტორიულ მისიას დაუუახლოვდეთ“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 28 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article>, განახლებულია: 19.10.2021.

³² „ანა დოლიძე - სააკაშვილის განცხადებები ეხმარება „ქართულ ოცნებას“ ხმების მობილიზებაში“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 29 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article>, განახლებულია: 19.10.2021.

სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლა სამართლებრივი შეფასების საგანი უნდა გამხდარიყო.³³

მიხეილ სააკაშვილის განცხადებას საერთაშორისო გამომხაურებაც მოჰყვა. აშშ-ის ელჩმა კელი დეგნანმა აღნიშნა, რომ საქართველოს სჭირდებოდა წყნარი და მშვიდი გარემო და არა - პოლიტიკური არასტაბილურობა და ძალადობა.³⁴ ევროპარლამენტარ მარკეტა გრეგოროვას აზრით, არჩევნების დღეს სააკაშვილის დაბრუნება კონფლიქტს გამოიწვევდა,³⁵ არჩევნებისთვის კი საჭირო იყო პოლიტიკური თამაშებისგან თავისუფალი, მშვიდი გარემო.³⁶ ევროპარლამენტის წევრმა ვიოლა ფონ კრამონმა უარყოფითად შეაფასა ყოფილი პრეზიდენტის გადაწყვეტილება და განაცხადა, რომ მისი ჩამოსვლა საქართველოს ინტერესებს ვერ მოემსახურებოდა.³⁷ გარდა ამისა, ევროკავშირს არ გააჩნდა იმის რესურსი და სურვილი, რომ შუამავლის როლი ეთამაშა კიდევ ერთ არასაჭირო კრიზისში.³⁸ მისი თქმით, ამ პოზიციას იზიარებდნენ მისი კოლეგები პარლამენტში, ასევე ევროკავშირის სხვა ინსტიტუტები.³⁹

მიხეილ სააკაშვილმა ამორალური უნდა ევროპარლამენტარის განცხადებას სამშობლოში მის დაბრუნებაზე თავის შეკავებასთან დაკავშირებით.⁴⁰ მისივე თქმით, ხმის მიცემის დასრულებამდე ფიზიკურად გამოჩენას არ აპირებდა.⁴¹

IV. 19 აპრილის შეთანხმების შესაბამისად კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის პროცესი

7 სექტემბერს პარლამენტმა 126 ხმით პირველი მოსმენით საკონსტიტუციო ცვლილებებს მხარი დაუჭირა.⁴² კანონპროექტი, 19 აპრილის შეთანხმების შესაბამისად, სამ ძირითად საკითხს ითვალისწინებს: (1) მომდევნო ორი საპარლამენტო არჩევნებისთვის ბარიერის 2%-მდე დაწევას; (2) საპარლამენტო ფრაქციის შესაქმნელად 7-ის ნაცვლად დეპუტატთა რაოდენობის 4-მდე შემცირებას; (3) გენერალური პროკურორის არჩევას პარლამენტის კვალიფიციური უმრავლესობით, ხოლო, თუ მისი არჩევა ვერ მოხდებოდა, კანონპროექტით, 76 დეპუტატის მხარდაჭერა იქნებოდა საკმარისი.⁴³ პარლამენტმა პირველ ორ პუნქტს უცვლელად უყარა კენჭი და მიიღო.⁴⁴ რაც შეეხება მესამე საკითხს, მმართველი პარტიის თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის განცხადებით, ის დღის წესრიგიდან მოიხსნა, ვინაიდან შემოთავაზებული ცვლილება ინსტიტუტის დამოუკიდებლობის ხარისხს ამცირებდა და, იმავდროულად, ოპოზიციამ ვერ წარმოადგინა დამაჯერებელი არგუმენტები მის მისაღებად.⁴⁵

³³ იქვე.

³⁴ „კელი დეგნანი მიხეილ სააკაშვილის ჩამოსვლაზე - ის, რაც საქართველოს სჭირდება, არის წყნარი, მშვიდი გარემო და არა პოლიტიკური არასტაბილურობა და ძალადობა“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 30 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article>, განახლებულია: 19.10.2021.

³⁵ „მარკეტა გრეგოროვა - სააკაშვილის მრჩეველი რომ ვყოფილიყავი, აუცილებლად ვეტყვოდი, ჩამოსულიყო ნებისმიერ სხვა დროს, როდესაც არ ელიან, თუ ნამდვილად სურს ქვეყნის დახმარება“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 17 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article>, განახლებულია: 19.10.2021.

³⁶ იქვე.

³⁷ „On Mr Saakashvili's intended return to Georgia“, ვიოლა ფონ კრამონის ვებგვერდი, 2021 წლის 29 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://violavoncramon.eu/neuigkeiten>, განახლებულია: 19.10.2021.

³⁸ იქვე.

³⁹ იქვე.

⁴⁰ „მიხეილ სააკაშვილი ვიოლა ფონ კრამონს პასუხობს - სულ მცირე, ამორალურია, მოუნდო ვინმეს, არ დაბრუნდეს თავის ქვეყანაში“, საინფორმაციო პორტალი „1tv.ge“, 2021 წლის 29 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://1tv.ge/news/mikheil-saakashvili>, განახლებულია: 19.10.2021.

⁴¹ იქვე.

⁴² „126 ხმით, პარლამენტმა, პირველი მოსმენით, საკონსტიტუციო ცვლილებებს მხარი დაუჭირა“, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, 2021 წლის 7 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/media/news>, განახლებულია: 19.10.2021.

⁴³ იქვე.

⁴⁴ იქვე.

⁴⁵ იქვე.

„ქართული ოცნების“ გადანყვეტილებას მესამე პუნქტის დღის წესრიგიდან მოხსნის თაობაზე კრიტიკული გამოხმაურება მოჰყვა. „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის ხატია დეკანოიძის თქმით, მმართველი პარტიის მხრიდან პროკურორის არჩევის შესახებ ჩანაწერის ამოღება მიუთითებდა, რომ საქართველო ყოველდღიურად სცილდებოდა ევროატლანტიკურ კურსს.⁴⁶ მსგავსი განცხადება გააკეთა „ევროპული საქართველოს“ თავმჯდომარემ გიგა ბოკერიამაც.⁴⁷ მისი შეფასებით, მმართველმა პარტიამ ეს ნაბიჯი ძალის დემონსტრირებისა და ძალაუფლების შენარჩუნებისთვის გადადგა და ამით საფრთხე შეუქმნა ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას.⁴⁸

მმართველი პარტიის ნაბიჯი უარყოფითად შეაფასეს ევროკავშირის და აშშ-ის ელჩებმაც. კარლ ჰარცელმა ნუხილი გამოთქვა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ მხარი არ დაუჭირა სასამართლო სისტემის რეფორმასთან დაკავშირებულ საკითხს.⁴⁹ მან მმართველ პარტიას შეახსენა, რომ 28 ივლისს, 19 აპრილის შეთანხმებიდან გასვლის შემდეგ, მან საჯაროდ აიღო განახლებული ვალდებულება სასამართლოს რეფორმირებისა და საკონსტიტუციო ცვლილებების მიღების შესახებ.⁵⁰ კარლ ჰარცელმა იქვე აღნიშნა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში განხორციელებული დანიშვნები არ შეესაბამებოდა ეუთო/ოდირის რეკომენდაციებს და, მათი შეფასებით, ამ პროცესს აკლდა კეთილსინდისიერება, ობიექტურობა და სანდოობა.⁵¹ მისი თქმით, ევროკავშირი მზად არის საქართველოს მხარი დაუჭიროს რეფორმებში, თუმცა დახმარება კვლავ დამოკიდებულია ძირითადი რეფორმების გატარებისას მიღწეულ წინსვლაზე.⁵²

საქართველოში აშშ-ის ელჩის კელი დეგნანის განცხადებით, გენერალური პროკურორის არჩევასთან დაკავშირებით შემოთავაზებულ ცვლილებას მხარს უჭერდნენ ვენეციის კომისია, საერთაშორისო ექსპერტები და საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიები, მათ შორის, „ქართული ოცნებაც“.⁵³ მისი აზრით, მმართველმა პარტიამ ვალდებულება აიღო, გაეტარებინა მართლმსაჯულების რეფორმები, ხოლო ამ პუნქტის ამოღებით გაუშვა ხელიდან დამოუკიდებელი მართლმსაჯულების შექმნის კიდევ ერთი შესაძლებლობა.⁵⁴

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ, ელჩების განცხადებების პასუხად, ხაზი გაუსვა დიპლომატების არაინფორმირებულობას და აღნიშნა, რომ მათ სწორი კონსულტანტები სჭირდებოდათ, ვინაიდან სამართლებრივ ნორმებს თავად ვერ გააანალიზებდნენ.⁵⁵ ირაკლი კობახიძის აზრით, შემოთავაზებული ცვლილებით, კვალიფიციური უმრავლესობის მიუღწევლობის შემთხვევაში რამდენიმე თვით არჩეული პროკურორი პოლიტიკურად არასახარბიელო

⁴⁶ „ხატია დეკანოიძე - პროკურორის არჩევის, კანონის უზენაესობის წესის ჩავარდნით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ საქართველო სცილდება დასავლურ მისწრაფებებს“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 8 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article>, განახლებულია: 19.10.2021.

⁴⁷ „გიგა ბოკერია - „ქართული ოცნების“ არშესრულებული ვალდებულებები კიდევ უფრო აშორებს საქართველოს ევროატლანტიკური სივრციდან“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 8 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article>, განახლებულია: 19.10.2021.

⁴⁸ იქვე.

⁴⁹ „კარლ ჰარცელი - ევროკავშირის ნუხილს გამოთქვამს, რომ დღეს მმართველმა პარტიამ მხარი არ დაუჭირა სასამართლო სისტემის რეფორმასთან დაკავშირებულ კიდევ ერთ ვალდებულებას“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 7 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article>, განახლებულია: 19.10.2021.

⁵⁰ იქვე.

⁵¹ იქვე.

⁵² იქვე.

⁵³ „აშშ-ის საელჩო - საკონსტიტუციო ცვლილების ჩაგდება, რაც მიზნად ისახავდა მთავარი პროკურორის დანიშვნისთვის ფართო მხარდაჭერას, კიდევ ერთი გაშვებული შესაძლებლობაა, საქართველოს ჰქონდეს დამოუკიდებელი მართლმსაჯულება“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 7 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article>, განახლებულია: 19.10.2021.

⁵⁴ იქვე.

⁵⁵ „ქართული ოცნების“ თავ-რე: ევროკავშირისა და აშშ-ის ელჩებს „სწორი კონსულტანტები“ სჭირდებათ“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 8 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/439645>, განახლებულია: 19.10.2021.

მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა.⁵⁶

გარდა ამისა, მმართველი პარტიის წევრებმა კანონპროექტის სხვა პუნქტებზეც ისაუბრეს. „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა შალვა პაპუაშვილმა განაცხადა, რომ მოლაპარაკებები მიმდინარეობდა 2%-იანი ბარიერის შესახებ საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტში არსებულ ჩანაწერთან დაკავშირებით.⁵⁷ მისი თქმით, 3%-იანი ბარიერის შემოღება მეტად ზრდიდა პარტიების სპექტრს.⁵⁸ საარჩევნო ბარიერის შეცვლაზე მსგავსი განცხადება გააკეთა პარტიის წევრმა გივი მიქანაძემაც.⁵⁹ მან აღნიშნა, რომ ამ საკითხზე გუნდში ჯერ კიდევ მსჯელობდნენ.⁶⁰

პირველ რიგში, საია მიესალმება 19 აპრილის შეთანხმების შესაბამისად საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვის პროცესს, კერძოდ, მომდევნო ორი საპარლამენტო არჩევნებისას ბარიერის 2%-მდე დაწევას. მნიშვნელოვანია, რომ ეს სიახლე მომდევნო საპარლამენტო მოსმენებზეცუცვლელისახითდაამტკიცოსსაკანონმდებლოორგანომ.ამასთან,ორგანიზაციის აზრით, „ქართული ოცნების“ მიერ კანონპროექტიდან გენერალური პროკურორის არჩევის შესახებ ცვლილების ამოღება 19 აპრილის შეთანხმებისა და პოლიტიკურ პარტიებს შორის მიღწეული კონსენსუსის უხეში დარღვევაა. კვალიფიციური უმრავლესობით გენერალური პროკურორის არჩევა გაზრდიდა შანსს, თანამდებობაზე დანიშნულიყო პირი, რომელიც ფართო პოლიტიკური მხარდაჭერით და მაღალი საზოგადოებრივი ნდობით ისარგებლებდა. ეს იქნებოდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი საპარლამენტო პლურალიზმის მისაღწევად. საიას აზრით, „მმართველმა გუნდმა უარი თქვა ამ ცვლილებაზე, რაც მართლმსაჯულების სისტემაზე პოლიტიკური კონტროლის შენარჩუნების სურვილით არის ნაკარნახევი“.⁶¹

V. პოლიტიკური პარტიების მიერ მართვის კანდიდატების დასახელება

7 სექტემბერს პარლამენტმა 19-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული „ამნისტიის შესახებ“ კანონპროექტი მესამე მოსმენით დაამტკიცა.⁶² მისი მიღების ვალდებულება 19 აპრილის შეთანხმების ნაწილი იყო. იგი ფრაქცია „ქართულმა ოცნებამ“ მოამზადა.⁶³ კანონპროექტი სასჯელისა და პირობითი მსჯავრისგან ათავისუფლებს ყველას, ვინც დანაშაული ჩაიდინა 19-21 ივნისის მოვლენებთან კავშირში და ამნისტიაზე უარი არ განუცხადებია.⁶⁴

მმართველი პარტიის ერთ-ერთმა წევრმა კახა კალაძემ, კითხვაზე, შეეხებოდა თუ არა „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარეს ამნისტიის კანონპროექტი, უპასუხა, რომ ეს თავად ნიკა მელიას გადასაწყვეტი იყო.⁶⁵ მისი თქმით, 19 აპრილის შეთანხმება მმართველი პარტიისთვის

⁵⁶ იქვე.

⁵⁷ „შალვა პაპუაშვილი არ გამორიცხავს, რომ 2%-იანი ბარიერთან დაკავშირებით საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტში არსებული ჩანაწერი შეიცვალოს“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 8 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article>, განახლებულია: 19.10.2021.

⁵⁸ იქვე.

⁵⁹ „გივი მიქანაძე - გუნდში ჩამოვყალიბდებით საერთო პოზიციაზე მეორე მოსმენისთვის - ახლა მიმდინარეობს მსჯელობა, 2%-იანი ბარიერი იქნება შენარჩუნებული თუ არა“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 9 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article>, განახლებულია: 19.10.2021.

⁶⁰ იქვე.

⁶¹ „გენერალური პროკურორის დანიშვნის ახალ წესზე უარი მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის გაშვებული შესაძლებლობაა“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, 2021 წლის 8 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://gyla.ge/ge/post/generaluri-prokuroris>, განახლებულია: 19.10.2021.

⁶² „პარლამენტმა „ამნისტიის შესახებ“ კანონპროექტი მესამე მოსმენით მიიღო“, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, 2021 წლის 7 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/media/news>, განახლებულია: 19.10.2021.

⁶³ იქვე.

⁶⁴ იქვე.

⁶⁵ „კახა კალაძე - ნიკა მელიას გადასაწყვეტია, უნდა შეეხოს თუ არა ამნისტია“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 9 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article>, განახლებულია: 19.10.2021.

ანულირებულია, თუმცა, ამის მიუხედავად, „ქართული ოცნება“ პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთარ სიტყვას და ასრულებს იმ რეფორმებს, რომლებიც თვითონ დააანონსა.⁶⁶

VI. ცესკოს დადგენილება პარტიულ სიაში კანდიდატთა რაოდენობის შესახებ

საარჩევნო კოდექსის მიხედვით, წარდგენილ პარტიულ სიაში საკრებულოს წევრობის კანდიდატთა რიცხვი არ უნდა იყოს პროპორციული სისტემით ასარჩევ წევრთა რაოდენობაზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს მის სამმაგ ოდენობას.⁶⁷ ცესკომ 7 სექტემბერს მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად, რეგისტრირებულ პროპორციულ სიას, რომელშიც, კანდიდატურის მოხსნის გამო, კანდიდატთა რაოდენობა დადგენილ მინიმუმზე ნაკლები აღმოჩნდება, რეგისტრაცია არ გაუუქმდება.⁶⁸ **საია პოზიტიურად აფასებს ცესკოს ამ ნაბიჯს და მიიჩნევს, რომ ეს ხელს შეუწყობს პარტიებისა და მათი წარმომადგენლების საარჩევნო უფლების რეალიზებას.**

VII. ცესკოს საკონსულტაციო ჯგუფი

2021 წლის ცვლილებების შესაბამისად, საარჩევნო პერიოდით, ცესკოს საკონსულტაციო ჯგუფი შეიქმნა. 29 ივლისს ცესკომ დადგენილებით განისაზღვრა მისი სტრუქტურა, საქმიანობის წესი, უფლებამოსილება და საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები,⁶⁹ ხოლო 13 აგვისტოს განკარგულებით დაამტკიცა შემადგენლობა.⁷⁰ საიამთავიდანვე უარი თქვა ცესკოს საკონსულტაციო ჯგუფის წევრების შერჩევის პროცესში მონაწილეობაზე.

საკონსულტაციო ჯგუფი უფლებამოსილია, ცესკოს წარუდგინოს რეკომენდაციები საარჩევნო დავების განხილვასთან დაკავშირებით, მათ შორის, განხილვის პროცედურის, სათანადო მასალების მოძიების ან/და მტკიცებულების გამოკვლევის თაობაზე.⁷¹ საკონსულტაციო ჯგუფის თავმჯდომარე ან მის მიერ განსაზღვრული საკონსულტაციო ჯგუფის წევრი უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით დაესწროს საოლქო საარჩევნო კომისიებში კენჭისყრის შედეგების ხელახლა დათვლის პროცესს.⁷²

დადგენილებით განისაზღვრა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების კვოტა, რომლის მიხედვითაც, საკონსულტაციო ჯგუფის წევრობის არანაკლებ 7 და არაუმეტეს 11 კანდიდატს ურთიერთშეთანხმებით შეარჩევენ ბოლო სამი საერთო არჩევნების დროს ცესკოში რეგისტრირებული ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციები.⁷³ თავდაპირველი რედაქციით, ჯგუფის წევრების შერჩევა სრული კონსენსუსით უნდა მომხდარიყო. თუმცა, 6 აგვისტოს ცესკომ დადგენილებაში შეიტანა ცვლილება, რომლის მიხედვითაც, თუ საკონსულტაციო ჯგუფის წევრები შეთანხმების გზით შერჩევა ვერ შეძლებენ, ხელახალ კენჭისყრაზე არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელსაც მხარს დაუჭერს წარმომადგენილი ორგანიზაციების სრული შემადგენლობის

⁶⁶ იქვე.

⁶⁷ საარჩევნო კოდექსის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

⁶⁸ ცესკოს N60/2021 დადგენილება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ED4YLG>, განახლებულია: 21.09.2021.

⁶⁹ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 29 ივლისის N44/2021 დადგენილება საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საკონსულტაციო ჯგუფის დებულების დამტკიცების შესახებ, მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3oCTF0C>, განახლებულია: 10.09.2021.

⁷⁰ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 13 აგვისტოს N156/2021 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2X7gopE>, განახლებულია: 10.09.2021.

⁷¹ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 29 ივლისის N44/2021 დადგენილება საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საკონსულტაციო ჯგუფის დებულების დამტკიცების შესახებ.

⁷² იქვე.

⁷³ იქვე.

არანაკლებ 2/3.⁷⁴ საია ამ გადაწყვეტილებას უარყოფითად აფასებს და მიიჩნევს, რომ ჯგუფის სანდოობის უზრუნველყოფისთვის უმჯობესი იყო ძველი წესის შენარჩუნება.

ცესკოს მიერ მიღებული ეს გადაწყვეტილება გახდა არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილის მიერ საკონსულტაციო ჯგუფის შერჩევის პროცესის დატოვების ერთ-ერთი წინაპირობა. კერძოდ, 8 აგვისტოს მას გამოეთიშა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ და „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“.⁷⁵ მათი პოზიციით, საკონსულტაციო ჯგუფის წევრების შესარჩევად მონვეული ორგანიზაციების შემადგენლობა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურა ვერ უზრუნველყოფდა კვალიფიციური და სანდო ადამიანების შერჩევას კონსენსუსის საფუძველზე.⁷⁶

13 აგვისტოს ცესკომ განკარგულებით დაამტკიცა საკონსულტაციო ჯგუფის შემადგენლობა (12 წევრი),⁷⁷ თუმცა მან ფუნქციონირება ვერ შეძლო და 2021 წლის 19 სექტემბერს დაიშალა. ცესკომ ძალადაკარგულად გამოაცხადა განკარგულება მისი შექმნის შესახებ.⁷⁸ დაშლის მიზეზი გახდა ჯგუფის წევრების მიერ ცესკოში შეტანილი განცხადებები მისი დატოვების თაობაზე. კანონმდებლობის მიხედვით, საკონსულტაციო ჯგუფი უნდა შედგებოდეს არანაკლებ 9 წევრისგან,⁷⁹ 19 სექტემბრის მდგომარეობით კი მასში მხოლოდ 6 წევრი იყო, რაც დადგენილ მინიმუმზე ნაკლებია. ამასთან, მისი შემადგენლობა მტკიცდება არჩევნების დანიშვნიდან 10 დღის ვადაში,⁸⁰ რაც შეუძლებელს ხდიდა ახალი ჯგუფის შექმნას.

VIII. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობა

უწყებათაშორისი კომისია სექტემბრის განმავლობაში 4-ჯერ (8, 15, 22 და 29 სექტემბერი) შეიკრიბა. საია სხდომებს არ ესწრებოდა, თუმცა კომისიის საქმიანობას დისტანციურად აკვირდებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ სხდომის ოქმები იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე რამდენიმე დღის დაგვიანებით ქვეყნდებოდა.

კომისიის სხდომებზე განიხილებოდა მედიამონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციები, მათ შორის, საჯარო მოხელეების სამსახურებრივი ნიშნით შეკრების, სავარაუდო უკანონო შემონიშნულების, ოპოზიციური პარტიების კანდიდატებსა და მხარდამჭერებზე ზენოლისა და მუქარის, სამსახურიდან სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლების, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებისა და ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვის ფაქტები.⁸¹ უფრო კონკრეტულად,

⁷⁴ იქვე, მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

⁷⁵ „ცესკოს საკონსულტაციო ჯგუფის დაკომპლექტების პროცესს „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ და „სამართლიანი არჩევნები“ ტოვებენ“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ ვებგვერდი, 2021 წლის 8 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3A2VBC7>, განახლებულია 19.10.2021.

⁷⁶ იქვე.

⁷⁷ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 13 აგვისტოს N156/2021 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2X7gopE>, განახლებულია: 10.09.2021.

⁷⁸ ცესკოს N285/2021 განკარგულება, „მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისათვის საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საკონსულტაციო ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 13 აგვისტოს N156/2021 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3AtXGqY>, განახლებულია: 20.09.2021.

⁷⁹ საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-16¹ მუხლის 1-ლი ნაწილი.

⁸⁰ იქვე.

⁸¹ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის მე-5 სხდომის ოქმი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდი, 2021 წლის 8 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3hOKnue>, განახლებულია: 05.10.21; თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის მე-6 სხდომის ოქმი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდი, 2021 წლის 15 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3CRpbvo>, განახლებულია: 05.10.21; თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის მე-7 სხდომის ოქმი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდი, 2021 წლის 22 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/39Pyj7g>, განახლებულია: 05.10.21; თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის მე-8 სხდომის ოქმი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3p1YVLC>, განახლებულია: 13.10.2021.

დღის წესრიგში დადგა შემდეგი საკითხები:

- ინფორმაცია სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები 87 პირის მიერ ქართული ოცნებისთვის 700 000 ლარის შეწირვის შესახებ.⁸² ეს ფაქტი საიამ ანგარიშში შეიტანა და შესაბამის უწყებებს რეაგირებისკენ მოუწოდა;⁸³
- ოზურგეთის მერობის დამოუკიდებელი კანდიდატის მიერ თანამშრომლების შეკრება, რაზეც მუნიციპალიტეტის მიერ მითითება არასამუშაო დროს შეხვედრაზე გაკეთდა.⁸⁴ საიას შეფასებით, ეს არის საჯარო მოსამსახურეებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ააიპ-ების თანამშრომლების სამსახურებრივი ნიშნით შეკრების მაგალითი. აქედან გამომდინარე, საია საოლქო საარჩევნო კომისიისა და სასამართლოს გადაწყვეტილებებს დადებითად აფასებს;⁸⁵
- პარტია „საქართველოსთვის“ წევრ მინდია დავითაძის მიერ წარმოდგენილი ფაქტები, რომლებიც ზენოლას, პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებასა და პირადი განცხადების საფუძველზე სამსახურის დატოვების იძულებას ეხებოდა.⁸⁶ ამ შემთხვევებიდან რამდენიმე საიას ანგარიშებში მოხვდა;
- ივანე გველესიანის ცემის ფაქტი, რაზეც გამოძიება ძალადობის მუხლით მიმდინარეობს.⁸⁷ საიას შეფასებით, მოცემული საქმე სავარაუდო პოლიტიკური მოტივით ძალადობის შემთხვევაა;⁸⁸
- ასპინძაში შპს „ნდს მშენებლობის“ მიერ სავარაუდოდ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება.⁸⁹ საიას აზრით, კომპანია, სახელმწიფოსთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, საჯარო ფინანსების საფუძველზე ახორციელებს ამ კონკრეტულ საქმიანობას და მმართველი გუნდის სასარგებლოდ ეწევა აგიტაციას. ამიტომ, ეს ქმედება ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებად უნდა შეფასდეს.⁹⁰

სხდომებზე განიხილებოდა სახალხო დამცველის მიერ აღრიცხული შემთხვევები კანდიდატურების მოხსნისა და სამსახურიდან პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლების შესახებ.⁹¹ შსს-ს წარმომადგენლის განმარტებით, 28 სექტემბრის მონაცემებით, არჩევნებთან დაკავშირებით სისხლის სამართლის 24 საქმეზეა დაწყებული გამოძიება. ეს მონაცემი მნიშვნელოვნად განსხვავდება 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდის მაჩვენებლისგან (რა დროსაც 76 საქმეზე მიმდინარეობდა გამოძიება).⁹² გენერალური პროკურატურის წარმომადგენლის თქმით კი, გამოძიება მიმდინარეობს არჩევნებთან დაკავშირებულ 5 სისხლის სამართლის საქმეზე.⁹³

⁸² თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის მე-5 სხდომის ოქმი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდი, 2021 წლის 8 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3hOKnue>, განახლებულია: 05.10.21.

⁸³ მარიამ ლაცაბიძე და სხვები, „2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის II შუალედური ანგარიში, აგვისტო-სექტემბერი“ (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია), გვ. 23, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2YlqeoH>, განახლებულია: 05.10.21.

⁸⁴ იქვე.

⁸⁵ მარიამ ლაცაბიძე და სხვები, „2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის II შუალედური ანგარიში, აგვისტო-სექტემბერი“ (თბილისი: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია), გვ. 17, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2YlqeoH>, განახლებულია: 05.10.21.

⁸⁶ იქვე.

⁸⁷ იქვე.

⁸⁸ 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის მე-2 შუალედური ანგარიში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, გვ. 27, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Z2ZY2y>, განახლებულია: 13.10.2021.

⁸⁹ იქვე.

⁹⁰ იქვე.

⁹¹ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის მე-5 სხდომის ოქმი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდი, 2021 წლის 8 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3hOKnue>, განახლებულია: 05.10.21; თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის მე-6 სხდომის ოქმი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდი, 2021 წლის 15 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3CRpbvo>, განახლებულია: 05.10.21.

⁹² იქვე.

⁹³ იქვე.

კომისიამ ყურადღება გაამახვილა ამომრჩევლის ნების კონტროლის რეგულაციების ეფექტიანი აღსრულების მიზნით გასატარებელ ზომებზე.⁹⁴ საიამ, კენჭისყრის დღეს ამ კუთხით სპეციალური მიდგომები შეიმუშავა. ორგანიზაციის შეფასებით, ამომრჩეველთა გადაადგილების ფიზიკურად შეფერხებას, ადამიანთა შეკრებას ან ამომრჩევლის აღრიცხვას დარღვევად იდენტიფიცირებისთვის უნდა ჰქონდეს ორგანიზებული სახე და ეს არ უნდა იყოს სპონტანური ქმედება.

აღსანიშნავია, რომ კომისიამ განიხილა საიას საარჩევნო მისიის გრძელვადიანი მონიტორინგის 1-ლი შუალედური ანგარიში.⁹⁵ შალვა პაპუაშვილმა აღნიშნა, რომ ანგარიშში მითითებული საკითხები საარჩევნო კანონმდებლობას არ არღვევს, ვინაიდან ისინი უკავშირდება მაისი-ივლისის თვეების მონაკვეთს და არა - კამპანიის პერიოდს.⁹⁶ საიას მეთოდოლოგიის მიხედვით, ერთი ანგარიში შეეხება არჩევნების თარიღის დანიშვნამდე პერიოდს, ხოლო მეორე - კენჭისყრის დღემდე არსებულ მდგომარეობას.⁹⁷ ეს იმით არის განპირობებული, რომ კენჭისყრის დღემდე 60 დღით ადრე სპეციალური წესები იწყებს მოქმედებას და ამ ორი დროის მონაკვეთს ორგანიზაცია ცალ-ცალკე განიხილავს.⁹⁸ ამასთან, საიას ანგარიშებში ცუდი პრაქტიკა და კანონდარღვევა მკაფიოდ არის გამიჯნული.⁹⁹

ამავე სხდომაზე განიხილეს კომისიის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები,¹⁰⁰ კერძოდ:

- საგანმანათლებლო რესურსცენტრების ხელმძღვანელებს, საჯარო სკოლებისა და ბაგაბალების თანამშრომლებს მოუწოდეს: სამუშაო საათების განმავლობაში ან/და სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას არ მიიღონ მონაწილეობა წინასაარჩევნო აგიტაციაში,¹⁰¹ თავი შეიკავონ აგიტაციისგან/კონტრაგიტაციისგან სოციალური ქსელების გამოყენებით, არ ჩართონ წინასაარჩევნო პროცესში მათი აღსაზრდელები ან/და მოსწავლეები, მაქსიმალურად გამიჯნონ საკუთარი პროფესიული საქმიანობა საარჩევნო პოლიტიკური პროცესებისგან;¹⁰²
- ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების საჯარო მოსამსახურებმა სამუშაო საათების განმავლობაში ან/და სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას არ მიიღონ მონაწილეობა წინასაარჩევნო აგიტაციაში, ამასთან, თავი შეიკავონ საარჩევნო სუბიექტის წინააღმდეგ გამართულ შეხვედრებში მონაწილეობისგან, რათა გამოირიცხოს პოლიტიკურ ნიადაგზე სიტყვიერი ან ფიზიკური დაპირისპირება და კანდიდატებმა თავისუფალ, არაკონფლიქტურ გარემოში შეძლონ ამომრჩეველთან ურთიერთობა.¹⁰³
- საარჩევნო სუბიექტებმა მისცენ მკაფიო მითითება, რომ მათმა მხარდამჭერებმა, განსაკუთრებით საჯარო სამსახურებში, თავი შეიკავონ კონკურენტი პოლიტიკური პარტიის კანდიდატების წინასაარჩევნო შეხვედრებზე დასწრებისგან კონტრაგიტაციის, მოსაზრებების გამოთქმისა თუ სიტყვიერად გამოსვლის მიზნით, რათა გამოირიცხოს ინციდენტები, ძალადობრივი ექსცესები, სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირება პოლიტიკურ ნიადაგზე.¹⁰⁴

საიას შეფასებით, ეს რეკომენდაციები უფრო ადრე უნდა გაცემულიყო, ვინაიდან ამის გაკეთება არჩევნებამდე 3 დღით ადრე ნაკლებად ეფექტიანია.

⁹⁴ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის მე-8 სხდომის ოქმი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3p1YVLc>, განახლებულია: 13.10.2021.

⁹⁵ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის მე-5 სხდომის ოქმი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდი, 2021 წლის 8 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3hOKnue>, განახლებულია: 05.10.21.

⁹⁶ იქვე.

⁹⁷ ვახუშტი მენაბდე, „პასუხი მმართველ პარტიას“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, 2021 წლის 20 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3a76Yh5>, განახლებულია: 04.10.2021.

⁹⁸ იქვე.

⁹⁹ იქვე.

¹⁰⁰ იქვე.

¹⁰¹ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციები, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3AdYzDd>, განახლებულია: 05.10.21.

¹⁰² იქვე.

¹⁰³ იქვე.

¹⁰⁴ იქვე.

IX. ელექტრონული არჩევნების პილოტის სიმულაცია

2021 წლის 22 სექტემბერს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ორგანიზებით, ელექტრონული არჩევნების საპილოტე პროგრამის მხარდაჭერის მიზნით, კენჭისყრის სიმულაცია გაიმართა.¹⁰⁵ კენჭისყრაში მონაწილეობის მისაღებად საარჩევნო სიაში 823 ამომრჩეველი იყო რეგისტრირებული.¹⁰⁶ საპილოტედ კრწანისის საარჩევნო ოლქში მდებარე №75 სკოლის შენობა შეირჩა. საიამ იმიტირებული კენჭისყრის პროცესზე ერთი დამკვირვებელი და რამდენიმე ამომრჩეველი დაარეგისტრირა.

კენჭისყრის პროცესის დასაწყისში შეიმჩნეოდა არეულობა და რიგები, თუმცა ეს მალევე გამოსწორდა. გარკვეული დრო სჭირდებოდა ამომრჩევლების ინსტრუქტაჟს ახალ წესებთან დაკავშირებით, თუმცა ისინი მითითებებს ზუსტად ასრულებდნენ.

ელექტრონული არჩევნების პილოტის სიმულაციაზე წარმოდგენილი იყო შემდეგი სიახლეები:

- **განსხვავებული დიზაინის ბიულეტენი და ხმის მიცემის წესი.** ერთ ბიულეტენში სამ სვეტადაა განლაგებული პროპორციული, მერის და მაჟორიტარულ არჩევნებში მონაწილე კანდიდატები. ამომრჩევლები, ნაცვლად საარჩევნო ნომრის შემოხაზვისა, კანდიდატის გასწვრივ სპეციალური მარკერის საშუალებით აფერადებენ მრგვლად შემოხაზულ წრეებს. ბიულეტენზე დატანილია სატესტო გასაფერადებელი ადგილი. ბიულეტენი დაცულია სპეციალური ბარ-კოდით, რაც იმის გარანტიაა, რომ აპარატი მიიღებს მხოლოდ ამ უბნისთვის განკუთვნილ ბიულეტენებს. იმ შემთხვევაში, თუ წრე არასათანადოდ არის გაფერადებული, ან ბიულეტენი გადაკეცილ მდგომარეობაში მოთავსდება მიმღებ ქრილში, აპარატი მას უკან აბრუნებს შესაბამისი მიზეზის ეკრანზე მითითებით. აპარატი ორი ძირითადი მიზეზით მიიჩნევდა ბიულეტენებს ბათილად: თუ ერთ სვეტში ერთზე მეტი რაოდენობა იყო მონიშნული, ან თუკი საერთოდ არ იყო მონიშნული;
- **განსხვავებული დიზაინის საარჩევნო ყუთი.** საარჩევნო ყუთზე სპეციალური პლასტმასის ლუქით არის მიმაგრებული ელექტრონული ხმის დამთვლელი აპარატი, რომელიც ბიულეტენს ასკანერებს და თვითონვე ათავსებს საარჩევნო ყუთში. ბიულეტენის მიმღებ ქრილში მოთავსებიდან აპარატს დაახლოებით 5-10 წამი სჭირდება, რომ ამომრჩევლის ხმა დააფიქსიროს. კომისიის წარმომადგენლები ამომრჩევლებს სწორედ ამ დროით აყოვნებდნენ აპარატთან, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ მათი ხმა დაფიქსირებულია. აღსანიშნავია, რომ ბიულეტენი აპარატში თავსდება ამობრუნებული ფორმით, რაც აპარატის მიერ ბიულეტენის უკან დაბრუნების შემთხვევაში გამორიცხავს ხმის მიცემის ფარულობის დარღვევას;
- **ხმის დათვლისა და შედეგების შეჯამების ახალი წესები.** საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს აქვს სპეციალური ელექტრონული ჩიპი და კოდი, რომელიც აუცილებელია ნულოვანი ანგარიშის დასაბეჭდად. აპარატიდან ნულოვანი ანგარიშის ამოღებით დასტურდება, რომ აპარატის გამოყენებით ხმის მიცემა ნულიდან იწყება. შედეგების დასათვლელად აპარატს სულ 2-3 წუთი სჭირდება, რაც მოიცავს ელექტრონული გასაღების, სპეციალური კოდის გამოყენებას და შედეგების ამობეჭდვას. აღსანიშნავია, რომ აპარატის მიერ ამობეჭდილ შედეგებს იურიდიული ძალა არ გააჩნია.

კენჭისყრის სიმულაციაზე აპარატის მიერ ამობეჭდილი მონაცემების სისწორის შესამოწმებლად ბიულეტენები ხელით გადაითვალა და აპარატის შედეგებთან შედარდა. მათ შორის 100%-იანი შესაბამისობა დადგინდა. **საია ელექტრონული არჩევნების პილოტს საბოლოო ანგარიშში შეაფასებს.**

¹⁰⁵ 2 ოქტომბრის არჩევნებში ხმის ელექტრონულად დათვლის საპილოტე პროექტი - კრწანისის საარჩევნო ოლქში იმიტირებული არჩევნები ჩატარდა, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებგვერდი, 2021 წლის 22 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3lnJpXQ>, განახლებულია: 07.10.2021.

¹⁰⁶ იქვე.

X. ცესკოს შუალედური ანგარიში

28 სექტემბერს ცესკომ 2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის შუალედური ანგარიში გამოაქვეყნა, რომელიც 2 აგვისტოდან 15 სექტემბრამდე პერიოდს მოიცავდა.¹⁰⁷

ანგარიშში მოცემულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა განცხადებები, საჩივრები და საარჩევნო დავები; საარჩევნო პროცესის ფინანსური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფა; წინასაარჩევნო პერიოდში მოქმედი ნორმები და რეგულაციები, მათ შორის, არჩევნების სამართლებრივი უზრუნველყოფა; ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით მიღებული ზომები; საარჩევნო ადმინისტრაცია, მისი შემადგენლობა და არჩევნის წესი; ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა; საინფორმაციო კამპანია და სხვა.¹⁰⁸

ცესკოს თავმჯდომარემ გიორგი კალანდარიშვილმა ანგარიში დიპლომატიურ მისიებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს წარუდგინა.¹⁰⁹ მისი განცხადებით, დოკუმენტში აღწერილი და ჩამოთვლილი საქმიანობები ამომრჩევლებს და პროცესში ჩართულ მხარეებს სთავაზობს თავისუფალ, სამართლიან და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო საარჩევნო გარემოს.¹¹⁰ კალანდარიშვილის თქმით, არსებობდა ყველა წინაპირობა იმისთვის, რომ არჩევნები მაღალ დონეზე ჩატარებულიყო, რაც 19 აპრილის დოკუმენტის შესაბამისად განხორციელებულმა საარჩევნო რეფორმამ განაპირობა.¹¹¹

XI. ეუთო/ოდირის შუალედური ანგარიში

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა (ეუთო/ოდირი) 17 სექტემბერს 2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შესახებ შუალედური ანგარიში გამოაქვეყნა.¹¹² დასკვნაში, რომელიც 26 აგვისტოდან 15 სექტემბრამდე პერიოდს მოიცავს, აღნიშნულია, რომ წინასაარჩევნო გარემო მმართველ და ოპოზიციურ პარტიებს შორის ღრმა პოლარიზაციით ხასიათდებოდა.¹¹³ პარტიების კამპანიებში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ორმხრივ ბრალდებებს დეზინფორმაციისა და საარჩევნო დარღვევების შესახებ.¹¹⁴

ანგარიშის მიხედვით, პროცესში მონაწილე ზოგიერთი მხარე მიუთითებდა, რომ წინასაარჩევნო გარემო იყო უკიდურესად პოლარიზებული და გაჯერებული აგრესიული დისკუსიით.¹¹⁵ ამასთან, ორგანიზაციის ცნობით, მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობდა არჩევნებში მონაწილე

¹⁰⁷ შუალედური ანგარიში მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნები (2 აგვისტო - 15 სექტემბერი), ცესკოს ვებგვერდი, 2021 წლის სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://cesko.ge/res/docs>, განახლებულია: 19.10.2021.

¹⁰⁸ იქვე.

¹⁰⁹ „ცესკოს თავმჯდომარემ დიპლომატიურ მისიებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს 2 ოქტომბრის არჩევნების შუალედური ანგარიში წარუდგინა“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 28 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article>, განახლებულია: 19.10.2021.

¹¹⁰ იქვე.

¹¹¹ იქვე.

¹¹² ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) არჩევნების სადამკვირვებლო მისია საქართველოში, ადგილობრივი არჩევნები, 2 ოქტომბერი, 2021 წელი, შუალედური ანგარიში 26 აგვისტო - 15 სექტემბერი, ეუთოს ვებგვერდი, 2021 წლის 17 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.osce.org/files/f>, განახლებულია: 19.10.2021.

¹¹³ იქვე, გვ. 5.

¹¹⁴ იქვე, გვ. 12.

¹¹⁵ იქვე.

პირებზე ზენოლა, რათა კანდიდატურები მოეხსნათ.¹¹⁶

დასკვნის თანახმად, ეუთო/ოდირთან შეხვედრებისას პარტიების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ პოლიტიკური გარემო მეტისმეტად კეთილგანწყობილი იყო „ქართული ოცნების“ მიმართ.¹¹⁷ ამგვარი დამოკიდებულება განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდებოდა საარჩევნო კამპანიის შემონირულებებზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით.¹¹⁸ ეს პრობლემა კიდევ უფრო მეტად გაამძაფრა მმართველი პარტიის მიერ არჩევნების თარიღის გამოცხადების შემდგომ დაწყებულმა რამდენიმე სოციალურმა და ეკონომიკურმა პროექტმა.¹¹⁹

რაც შეეხება საარჩევნო კანონმდებლობას, ანგარიშში, ნაწილობრივ, დადებითად არის შეფასებული 19 აპრილის შეთანხმების საფუძველზე 28 ივნისს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც შეესაბამებოდა ეუთო/ოდირისა და ვენეციის კომისიის მანამდე გაცემულ რამდენიმე რეკომენდაციას.¹²⁰ თუმცა, ორგანიზაციამ იქვე მიუთითა, რომ შეუსრულებელი დარჩა არაერთი რეკომენდაცია, კერძოდ, საარჩევნო დავების გადანყვეტის გზების, ხმის უფლების შეზღუდვისა და ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების აღსაკვეთად დამატებითი ზომების მიღების შესახებ.¹²¹

XII. წინასაარჩევნო გარემოს შეფასება ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ

წინასაარჩევნო გარემო შუალედური ანგარიშებით შეაფასეს ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა. დასკვნების მიხედვით, პარტიებს შორის შეინიშნებოდა პოლარიზაცია და ხშირი იყო კანდიდატებზე პოლიტიკური ნიშნით ზენოლა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ შუალედური ანგარიშის მიხედვით, პრობლემური იყო საარჩევნოდ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება,¹²² ხოლო მეორე შუალედური ანგარიშის თანახმად, გამოვლინდა პოლიტიკური ნიშნით ზენოლის შემთხვევები. ასევე თვალსაჩინო იყო პარტიებს შორის ფინანსების უკიდურესად არათანაბარი გადანაწილება, რაც აზიანებდა საარჩევნო გარემოს.¹²³ პოლიტიკური ნიშნით ზენოლისა და მუქარის ფაქტებზე საუბარია „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ მეორე შუალედურ ანგარიშშიც.¹²⁴ გარდა ამისა, ორგანიზაციამ პრობლემურ საკითხებს შორის დაასახელა: უფლებამოსილი პარტიების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების პროცესი; პოლიტიკური ნიშნით ძალადობა; სამსახურიდან გათავისუფლებისა და ზენოლის/მუქარის ტენდენცია; საარჩევნო კამპანიაში არაუფლებამოსილ პირთა მონაწილეობა; ადმინისტრაციული რესურსის პარტიული მიზნით გამოყენება და სხვა.¹²⁵ პოლიტიკური ნიშნით სამსახურის დატოვების ფაქტებს ხაზი გაუსვა „მრავალეროვანმა საქართველომ“ თავის შუალედურ ანგარიშში.¹²⁶ მასში საუბარია ასევე მოქმედი

¹¹⁶ იქვე, გვ. 11.

¹¹⁷ იქვე, გვ. 13.

¹¹⁸ იქვე.

¹¹⁹ იქვე.

¹²⁰ იქვე, გვ. 6.

¹²¹ იქვე.

¹²² „ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება საქართველოს მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის არჩევნებისთვის - შუალედური ანგარიში“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ვებგვერდი, 2021 წლის 28 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://transparency.ge/ge/post>, განახლებულია: 19.10.2021.

¹²³ „საქართველოს მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის არჩევნების კამპანიის დაფინანსება - შუალედური ანგარიში“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ვებგვერდი, 2021 წლის 30 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://transparency.ge/ge/post>, განახლებულია: 19.10.2021.

¹²⁴ „ISFED-მა 2021 წლის არჩევნების ოფიციალური წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის მეორე შუალედური ანგარიში წარმოადგინა“, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების ვებგვერდი, 2021 წლის 23 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.isfed.ge/geo/presrelizebi/ISFED>, განახლებულია: 19.10.2021.

¹²⁵ იქვე.

¹²⁶ მუნიციპალიტეტის ორგანოების წინასაარჩევნო გარემოს მონიტორინგის 2021 წლის არჩევნების შუალედური ანგარიში, „მრავალეროვანი საქართველოს“ ვებგვერდი, 2021 წლის სექტემბერი, გვ. 6, ხელმისაწვდომია: <http://www.pmmg.org.ge/res/uploads>, განახლებულია: 19.10.2021.

მერებისა და საკრებულოს წევრების მხრიდან, რომლებიც, იმავდროულად, დასახელებულნი იყვნენ კანდიდატებად, წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებაზე, რაც ბუნდოვანს ხდიდა ზღვარს სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულებასა და წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის უფლებას შორის.¹²⁷ ანგარიშში დადებითად არის შეფასებული საარჩევნო ცვლილებები, თუმცა ერთ-ერთ გამონკვევად დასახელებულია პროფესიული ნიშნით ცესკოს კომისიის წევრების არჩევა.¹²⁸

XIII. საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიები 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე

2 ოქტომბრის მუნიციპალური არჩევნების დაკვირვების გადანყვეტილება რამდენიმე მნიშვნელოვანმა საერთაშორისო ორგანიზაციამ მიიღო.¹²⁹ კერძოდ, ეუთო/ოდირის საარჩევნო მისია 12 ექსპერტისა და 30 გრძელვადიანი დამკვირვებლისგან შედგებოდა, რომლებიც 4 სექტემბრიდან მთელი ქვეყნის მასშტაბით გადანაწილდნენ.¹³⁰ არჩევნებზე დაკვირვება გადანყვეტეს ეროვნულმა დემოკრატიულმა ინსტიტუტმა და საერთაშორისო რესპუბლიკურმა ინსტიტუტმა.¹³¹ მათ გრძელვადიანი საარჩევნო მისიები სექტემბრის დასაწყისში გახსნეს.¹³² სადამკვირვებლო მისია დააკომპლექტა არჩევნების მონიტორინგის ორგანიზაციების ევროპულმა ქსელმა.¹³³ სხვების მსგავსად, ორგანიზაციამ საქმიანობა სექტემბერში დაიწყო.¹³⁴

სადამკვირვებლო მისიის შექმნა ევროპარლამენტმაც დააანონსა. ამის თაობაზე განცხადება ევროპარლამენტარმა მარინა კალიურანდმა გააკეთა.¹³⁵ ევროკავშირის დელეგაცია საქართველოს 30 სექტემბერს ესტუმრა.¹³⁶ ევროპარლამენტარები ეუთო/ოდირის საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიას შეუერთდნენ.¹³⁷ დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ: მიჰაილ გალერი (EPP, გერმანია, დელეგაციის თავმჯდომარე), მირიამ ლექსმანი (EPP, სლოვაკეთი); მარინა კალიურანდი (S&D, ესტონეთი); კატალინ ჩე (Renew, უნგრეთი); მარკეტა გრეგოროვა (Greens/EFA, ჩეხეთი); ჯორდი სოლე (Greens/EFA, ესპანეთი); ანა ფოტიგა (ECR, პოლონეთი).¹³⁸

¹²⁷ იქვე, გვ. 6.

¹²⁸ იქვე, გვ. 5.

¹²⁹ „ვინ დააკვირდება 2021 წლის ადგილობრივ არჩევნებს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 17 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/440884>, განახლებულია: 19.10.2021.

¹³⁰ იქვე.

¹³¹ იქვე.

¹³² „ვინ დააკვირდება 2021 წლის ადგილობრივ არჩევნებს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“.

¹³³ „ENEMO საქართველოში 2 ოქტომბრის თვითმმართველობის არჩევნების სადამკვირვებლო მისიას იწყებს“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 20 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article>, განახლებულია: 19.10.2021.

¹³⁴ იქვე.

¹³⁵ „მარინა კალიურანდი - ევროპარლამენტმა გადანყვეტა, საქართველოში მუნიციპალურ არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია გაგზავნოს“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 10 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article>, განახლებულია: 19.10.2021.

¹³⁶ „ევროპარლამენტის დამკვირვებლები საქართველოში არიან“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2021 წლის 30 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31485269.html>, განახლებულია: 19.10.2021.

¹³⁷ „თვითმმართველობის არჩევნებს 7 ევროპარლამენტარი დააკვირდება“, საინფორმაციო პორტალი „On.ge“, 2021 წლის 29 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://on.ge/story/>, განახლებულია: 19.10.2021.

¹³⁸ იქვე.

XIV. საიამ ხმის თანაბრობის პრინციპის დარღვევის შესახებ საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი შეიტანა

საიამ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის დადგენილი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების საზღვრების არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა.¹³⁹ სარჩელის თანახმად, გასაჩივრებული ნორმების მიხედვით, მცირერიცხოვან ოლქებში ამომრჩეველთა ხმას, მრავალრიცხოვან ოლქებში რეგისტრირებულ ამომრჩეველთან შედარებით, მაღალი წონა გააჩნია. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით კი, საარჩევნო უფლების უპირველესი მიზანი და საფუძველია მოქალაქეთა ნების ასახვა და შესაძლებლობა, რომ მათმა ხმამ გავლენა მოახდინოს არჩევნების საბოლოო შედეგებზე.¹⁴⁰ სადავო ნორმებიდან გამომდინარე, ამომრჩევლის ხმის „წონის“ დაკარგვამ ამომრჩეველს წაართვა აქტიური საარჩევნო უფლების ეფექტიანად განხორციელების საშუალება,¹⁴¹ ხოლო გაზარდა სხვა ამომრჩევლების მიერ არჩევნების შედეგებზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა.¹⁴²

საიას აზრით, „ასეთი საარჩევნო სისტემა მოქალაქეებს არათანასწორ შესაძლებლობებს ანიჭებს, ვერ უზრუნველყოფს კონსტიტუციის შესაბამისად არჩევნების ჩატარებას და ამომრჩევლების ნების ადეკვატურად ასახვას არჩევნების საბოლოო შედეგებზე“.¹⁴³ ამრიგად, ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ სადავო ნორმები არღვევს ხმის თანაბრობის პრინციპს, რის გამოც ისინი არაკონსტიტუციურად უნდა გამოცხადდეს.

XV. მმართველი გუნდის თავდასხმები სადამკვირვებლო ორგანიზაციებზე

17 სექტემბერს „ქართულმა ოცნებამ“ სამი არასამთავრობო ორგანიზაციის - საიას, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს და სამართლიანი არჩევნების შუალედურ ანგარიშებს პრესკონფერენცია მიუძღვნა.¹⁴⁴ მმართველი პარტიის თქმით, საიას ანგარიში ფარავდა საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე პერიოდს. შესაბამისად, ზედმეტი იყო დროის ამ მონაკვეთში საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევაზე საუბარი.¹⁴⁵ მათი აზრით, საზოგადოებისთვის არ იყო მკაფიოდ გამიჯნული, რომ საარჩევნო კამპანია 3 აგვისტოს დაიწყო, ამიტომ მანამდე მომხდარი შემთხვევები კამპანიის წარმოების წესების დარღვევად ვერ ჩაითვლებოდა.¹⁴⁶ „ქართულ ოცნებას“ მსგავსი შინაარსის მოსაზრება ჰქონდა სხვა ორგანიზაციების ანგარიშებზეც.¹⁴⁷ მათი განცხადებით, პარტიის ქმედების დაკვალიფიცირება „ამომრჩეველთა გულის მოსაგებად განხორციელებულ აქტივობად“ არასწორი იყო, ვინაიდან, ამ ლოგიკით, არასაარჩევნო პერიოდში მთავრობის ნებისმიერი ქმედება ამომრჩევლის გულის მოგებად იქნებოდა მიჩნეული.¹⁴⁸ გარდა ამისა, მმართველი პარტიის აზრით,

¹³⁹ „საია საკონსტიტუციო სასამართლოში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის დადგენილი მაჟორიტარული ოლქების საზღვრების არაკონსტიტუციურად ცნობას ითხოვს“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, 2021 წლის 18 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://gyla.ge/ge/post/saiia-sakonstitucio>, განახლებულია: 19.10.2021.

¹⁴⁰ საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 28 მაისის N1/3/547 გადაწყვეტილება საქმეზე უჩა ნანუაშვილი და მიხეილ შარაშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

¹⁴¹ „საია საკონსტიტუციო სასამართლოში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის დადგენილი მაჟორიტარული ოლქების საზღვრების არაკონსტიტუციურად ცნობას ითხოვს“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი.

¹⁴² იქვე.

¹⁴³ იქვე.

¹⁴⁴ „ოცნება“ საიას, TI-ის და ISFED-ის ანგარიშებს აკრიტიკებს“, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 2021 წლის 17 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/563820/>, განახლებულია: 19.10.2021.

¹⁴⁵ იქვე.

¹⁴⁶ იქვე.

¹⁴⁷ იქვე.

¹⁴⁸ იქვე.

სამივე ანგარიშში პრობლემური „ზოგადი ტენდენცია“ იყო კანონდარღვევისა და „ცუდი პრაქტიკის“ გამიჯვნა. ეს საზოგადოებისთვის ბუნდოვანს ხდიდა, ჩაიძინა თუ არა პოლიტიკურმა პარტიამ კანონდარღვევა, თუ მათი ქცევა „უბრალოდ, არ შეესაბამებ[ოდა] კონკრეტული ორგანიზაციის მიერ დადგენილ შიდა სტანდარტებს“. ¹⁴⁹ ამასთან, არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით ჩატარდა საარჩევნო კანონმდებლობის ფუნდამენტური რეფორმა. ¹⁵⁰ ხოლო ამ პროცესის შემდეგ ორგანიზაციების მიერ პარტიების ქმედების დამატებითი კრიტერიუმებით შეფასება არ შეესაბამებოდა „კეთილსინდისიერი დაკვირვების სტანდარტს“. ¹⁵¹ „ქართულმა ოცნებამ“ სამოქალაქო სექტორს მოუწოდა, მსგავსი შეფასებები ყოფილიყო საზოგადოებისთვის მკაფიო და გამჭვირვალე, ამასთან, სავარაუდო კანონდარღვევა გაემიჯნათ ორგანიზაციების მიერ შიდა კრიტერიუმებით დადგენილი დარღვევებისგან. ¹⁵²

მმართველი პარტიის კრიტიკას გამოეხმაურა საია და მას უსაფუძვლო უწოდა. ¹⁵³ პირველ რიგში, ანგარიშში მკაფიოდ იყო აღნიშნული, რომ მოცემულ პერიოდში საარჩევნო კამპანიის ფარგლებში დაწესებული აკრძალვები არ მოქმედებდა. ¹⁵⁴ გარდა ამისა, ორგანიზაცია ცხადად მიჯნავდა ერთმანეთისგან, რა იყო კანონდარღვევა და რა - „ცუდი პრაქტიკა“. ¹⁵⁵ შესაბამისად, საზოგადოებისთვის სრულებით ნათელი იყო განსხვავება კანონდარღვევასა და ფაქტს შორის. ¹⁵⁶ ამასთან, საია იყენებდა ფრაზას „ამომრჩეველთა გულის მოგებაზე გათვლილი მანიპულაცია“ და ის აღწერდა მთავრობის მიერ აკრძალვების დაწესებამდე ერთი დღით ადრე პროგრამის დამტკიცებას, რომლის განხორციელებაც მას ბევრად ადრე შეეძლო. ¹⁵⁷ რაც შეეხება სამოქალაქო სექტორის ჩართულობას საარჩევნო რეფორმის პროცესში და შეფასების დამატებითი კრიტერიუმების შემოღების არაკეთილსინდისიერებას, საია მიუთითებს, რომ დამატებითი კრიტერიუმები არ შეფასებულა კანონდარღვევად და მათგან ანგარიშში მოხვდა ფაქტების ორი კატეგორია: პირველი ეხებოდა პოლიტიკურ ეთიკას, რომლის კანონით დარეგულირების რეკომენდაცია ორგანიზაციას არ გაუცია, ხოლო მეორე - სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით მმართველი პარტიის რეკლამის აკრძალვას, რისი მონესრიგების რეკომენდაციაც ვერ გაიცემოდა, ვინაიდან ის ახალი ტენდენცია იყო. ¹⁵⁸ ამრიგად, ნებისმიერ დროს შეიძლებოდა კანონმდებლობაში ხარვეზის აღმოჩენა და თუ „რეფორმის შემდეგ კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე მანამდე შეუმჩნეველი ხარვეზების იდენტიფიცირებას ხელისუფლება კეთილსინდისიერებას დაუკავშირებ[და], ამით კანონმდებლობის განვითარების შანსს მოსპობ[და]“. ¹⁵⁹

საია ამ ფაქტიდან 2 დღის შემდეგ კიდევ ერთი თავდასხმის ადრესატი გახდა. „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ საიას საკონსტიტუციო სარჩელი „ნაციონალური მოძრაობის“ გეგმებს და არჩევნებისთვის პრობლემების შექმნას დაუკავშირა. ¹⁶⁰ კობახიძემ სარჩელს აბსურდული უწოდა. ¹⁶¹ მისი აზრით, არჩევნებამდე ორი კვირით ადრე მისი შეტანა სასამართლოში პოლიტიკურ ინტერესზე მიუთითებდა. ¹⁶² მან ასევე დაამატა, რომ კანონი ფართო პოლიტიკური კონსენსუსის

¹⁴⁹ იქვე.

¹⁵⁰ იქვე.

¹⁵¹ იქვე.

¹⁵² იქვე.

¹⁵³ ვახუშტი მენაბდე, „პასუხი მმართველ პარტიას“.

¹⁵⁴ იქვე.

¹⁵⁵ იქვე.

¹⁵⁶ იქვე.

¹⁵⁷ იქვე.

¹⁵⁸ იქვე.

¹⁵⁹ იქვე.

¹⁶⁰ „ქართული ოცნება“ საიას ადანაშაულებს არჩევნებისთვის პრობლემის შექმნაში, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2021 წლის 19 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31467773.html>, განახლებულია: 19.10.2021.

¹⁶¹ იქვე.

¹⁶² „ირაკლი კობახიძე - ფიცი გვნამს, ბოლო გვაკვირვებს, საიას სარჩელის უკან ძალიან ნათლად იკითხება პოლიტიკური ინტერესი“, საინფორმაციო პორტალი „1tv.ge“, 2021 წლის 20 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://1tv.ge/news/irakli>, განახლებულია: 19.10.2021.

ფონზე მიიღეს და საიას ამ პროცესთან დაკავშირებით პროტესტი არ გამოუხატავს.¹⁶³ ორგანიზაციამ ამ ბრალდებებს უპასუხა და მიუთითა, რომ სასამართლოსთვის კანონით მიცემული ვადისა და პროცედურის გათვალისწინებით, სარჩელი 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებამდე ვერ განიხილებოდა, ამდენად, მას საფრთხეს ვერ შეუქმნიდა.¹⁶⁴ გარდა ამისა, სასამართლოს გადაწყვეტილება გავლენას ვერ იქონიებდა არჩევნების შედეგებზე.¹⁶⁵ საიას განცხადებით, ვინაიდან მას არასდროს ამოძრავებდა პოლიტიკური ინტერესი, გადაწყვიტა სარჩელის შეტანა არჩევნებამდე ორი კვირით ადრე, რათა ის არ დაეკავშირებინათ არჩევნების შედეგებთან.¹⁶⁶

საიას აზრით, მმართველი პარტიის თავდასხმები ხასიათდება, როგორც წინააღმდეგობრივი, ცილისმწამებლური, ფორმალისტური და ზედაპირული.¹⁶⁷ ხელისუფლების სტრატეგია რაციონალურია და მისი განზრახვა საიას იმიჯის შელახვაა, ვინაიდან ის საზოგადოებაში მიუკერძოებელი და კომპეტენტური ორგანიზაციის სახელით სარგებლობს.¹⁶⁸ „ქართული ოცნების“ კრიტიკის მთავარი მიზანი კი მისი დისკრედიტაციაა.¹⁶⁹

XVI. აშშ-ის კონგრესმენტა ვიზიტი საქართველოში

6 სექტემბერს საქართველოს აშშ-ის რესპუბლიკელ კონგრესმენტა დელეგაცია ეწვია.¹⁷⁰ დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ: ალექს ქსავიერ მუნი (დასავლეთ ვირჯინია), ბრაიან ჯორჯ სტილი (ვისკონსინი), კელი მაიკლ არმსტრონგი (ჩრდ. დაკოტა), კეროლ დევენ მილერი (დასავლეთ ვირჯინია) და რონალდ ჯინ ესტესი (კანზასი).¹⁷¹ ვიზიტის ფარგლებში დელეგაციამ შეხვედრები გამართა პრემიერ-მინისტრთან, საგარეო საქმეთა, თავდაცვის და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრებთან.¹⁷² სხვა საკითხებთან ერთად, მხარეებმა იმსჯელეს საქართველოში მიმდინარე დემოკრატიულ რეფორმებზე.¹⁷³ კონგრესმენტმა მუნიმ აღნიშნა, რომ რესპუბლიკელი კონგრესმენტები ქვეყანაში მის მხარდასაჭერად ჩამოვიდნენ.¹⁷⁴ დელეგაციის ვიზიტი 8 სექტემბრამდე გაგრძელდა.¹⁷⁵

¹⁶³ „ქართული ოცნება“ საიას ადანაშაულებს არჩევნებისთვის პრობლემის შექმნაში“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“.

¹⁶⁴ იქვე.

¹⁶⁵ იქვე.

¹⁶⁶ იქვე.

¹⁶⁷ ვახუშტი მენაბდე, „პასუხი მმართველ პარტიას“.

¹⁶⁸ იქვე.

¹⁶⁹ იქვე.

¹⁷⁰ „საქართველოს აშშ-ის კონგრესმენტა დელეგაცია ეწვია“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 6 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article>, განახლებულია: 19.10.2021.

¹⁷¹ იქვე.

¹⁷² იქვე.

¹⁷³ „ამერიკელი კონგრესმენტები ოფიციალური ვიზიტით საქართველოში იმყოფებოდნენ“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 9 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/439848>, განახლებულია: 19.10.2021.

¹⁷⁴ იქვე.

¹⁷⁵ იქვე.